პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 აპრილი კვირა 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 102 (15315)

დაე მტკიცდებოდეს და ჰყვაოდეს ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლო — მშვიდობისა და სოციალიზმის ძალთა გაერთიანების ციხესიმაგრე!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებიდან.

სამშობლოს — საპირველმაისოდ!

ოთხი თვის გეგმა ვადამდე

საქართველოს მრეწველობის მშრომელთა ახალი წარმატება

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, განუხრელად აღწევენ ახალ წარმატებებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. პატრიოტული საქმეებით აღინიშნა ლენინური კომუნისტური შაბათობა. მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ვ. ი. ლენინის ხსოვნის დღეს — 22 აპრილს, რომელმაც რესპუბლიკის საწარმოებში შემოქმედებითი საქმიანი შეხვედრების ნიშნით ჩაიარა, დიდი წვლილი შეიტანეს მეცნიერებმა, ინჟინრებმა, წარმოების მოწინავეებმა.

დამკვრელური შრომით აღინიშნა საპირველმაისო ვახტი. იბრძვიან რა ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა განაღდებისათვის, საქართველოს მრეწველობის მშრომელებმა ვადამდე, 29 აპრილს დაამთავრეს პროდუქციის რეალიზაციის ოთხი თვის გეგმა. გეგმის წარმატებით შესრულებას გვიპატაკებენ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ჭიათურისა და სხვა ქალაქების მშრომელები.

მაგრამ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა, კერძოდ, რუსთავისა და გორის საწარმოებში ვერ შესრულდა. შენელდა პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპი ზესტაფონის, ფოთის, ტყიბულისა და თელავის მრეწველობაში.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები მთელ თავიანთ ყურადღებას აპყრობენ გადაუჭრელ ამოცანებს და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიაღწიონ ხუთწლედის ახალ მიჯნებს. (საქინფორმი).

უპატაკებენ თბილისის მრეწველობის მშრომელები

თბილისის მრეწველობის მშრომელებმა, რომლებიც იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისა და „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის, 28 აპრილს დაამთავრეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ოთხი თვის გეგმის შესრულება.

საპირველმაისოდ თბილისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები გამოუშვებენ რამდენიმე მილიონი მანეთის ზეგეგმთს პროდუქციას.

საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის შეჯიბრების ავანგარდში არიან ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო, სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო, ფოლად-თუჯსამსხმელი, სახვი ჩარხების, № 2 ავტოსარემონტო, „მაგნიტოფონის“, სატელეგრაფო აპარატურის, „გაზაპარატის“, ღვინის, კონიაკის, შამპანური ღვინოების, ქიმიურ-ფარმაცევტული, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის ხისდამშუშავებელი ქარხნების, საპარფიუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკა „ივერიის“, № 2 თამბაქოს, ჩაის საწონი, ტყავსაგალანტერიო ფაბრიკების, რძის, ცხიმის კომბინატების, საკონდიტრო კომბინატ „მზიურის“, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატის, „ინერმშენის“ № 1 ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატის, „ელვის“, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებების, თბილისის მეტროპოლიტენის, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების, №№ 1, 2, 8, 9 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოების, № 1 ტაქსომოტორის საწარმოსა და სხვა კოლექტივები.

თბილისელ მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი 1972 წელი — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი, აღნიშნონ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით.

ვირველი კვარტალის შედეგების შეჯამების შემდეგ თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივმა ახალი ძალით გააჩაღა შეჯიბრება საპირველმაისო დღესასწაულის შესახვედრად და ვადამდე შეასრულა ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

სურათზე: № 4 ფოლადის ჩამომსხმელი საამქროს მოწინავე მეფოლადეები (მარცხნიდან) შ. საგანელიძე, თ. მირიანაშვილი, ოსტატი ა. ბახილაშვილი, მეფოლადე-ჩამომსხმელი ი. მაისაშვილი და მეფოლადე ვ. ლუტაძე. ს. კილაძის ფოტო.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ა. სადათის შეხვედრა

29 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტს, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარეს ანვარ სადათს.

საუბრის დროს, რომელიც ამხანაგურ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და არაბთა სოციალისტურ კავშირის შორის კავშირურთიერთობის განმტკიცების საკითხები, აგრეთვე მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში.

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ სულ უფრო მტკიცდება საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის თანამეგობრობა ყველა დარგში. გამოითქვა აგრეთვე მტკიცე რწმენა, რომ ისრაელი დამპყრობლები, რომლებიც სხვა ქვეყნების იმპერიალისტური ძალების მხარდაჭერით სარგებლობენ, იძულებულ გახდებიან გაათავისუფლონ არაბული ტერიტორიები, რომლებიც მათ უკანონოდ მიიტაცეს 1967 წელს, და რომ არაბ ხალხთა მართალი საქმე გაიმარჯვებს.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲜᲕᲐᲠ ᲡᲐᲓᲐᲗᲘ

29 აპრილს მოსკოვიდან გამგზავრა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი და არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარე ანვარ სადათი, რომელიც ვიზიტით იყო საბჭოთა კავშირში.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე პრეზიდენტი ანვარ სადათი და მისი თანმხლები პირები გააცილეს ამხანაგებმა ა. ნ. კოსიგინმა, მ. ა. სუსლოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

საპატიო სტუმარს მიესალმნენ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები.

გამცილებელთა შორის იყო ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში იპპია აბდელ კადერი, აგრეთვე არაბული ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

საფრენ მოედანზე ჩამწკრივებული იყო სსრ კავშირის სამი გვარეობის შეიარაღებული ძალების საპატიო ყარაული. შესრულებულ იქნა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. (საკდესი).

მეგობრული ვიზიტი

საბჭოთა დელეგაცია ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

წინათ მიღწეული შეთანხმების შესაბამისად 26-29 აპრილს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მეგობრული არაოფიციალური ვიზიტით იყო საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. თ. კატუშევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ამხ. ნ. პ. ფირუბინი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი თანამშრომელი ამხ. ი. ა. ოგნეტოვი.

დელეგაციას მეგობრული შეხვედრები და საუბრები ჰქონდა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ფამ ვან დონგთან, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ნგუენ ზუი ჩინთან და ვიეტნამის სხვა ხელმძღვანელებთან.

დელეგაციამ გამოთქვა საბჭოთა ადამიანების უცვლელი სოლიდარობა ვიეტნამელი ხალხის გმირული ბრძოლისადმი ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ. საუბრების მსვლელობაში, რომლებიც გულთადობის, ძმური მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებასთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე ორიეე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთი საკითხი.

საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ერთობლივი კომუნიკე

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1972 წლის 27-29 აპრილს საბჭოთა კავშირში მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარე ანვარ სადათი.

საბჭოთა კავშირში ა. სადათის ყოფნის დროს გაიმართა მოლაპარაკება და საუბრები ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნ. კოსიგინმა. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, საბჭოთა კავშირის ელჩი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში ვ. მ. ვინოგრადოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი მ. დ. სიტნიკი;

ეგვიპტის მხრივ — პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში შეკამედ კაშეზ ისმაილი, საგარეო საქმეთა მინისტრი შურად ბალბ

, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში იპპია აბდელ კადერი, სამხედრო-საკადრო ძალების სარდალი, გენერალი კუსნი შუბარაკი.

საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების შესაბამისად მხარეებმა სრული ნდობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში განიხილეს ახლო აღმოსავლეთის რაიონში ამჟამად შექმნილი ვითარებასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი. ამ ვითარებას ახასიათებს გაძლიერება იმპერიალისტური ძალების ხრიკებისა, რომლებიც მიზნად ისახავენ ძირი გამოუთხარონ არაბული სამყაროს ქვეყნების პროგრესულ მოძრაობას, მოსწყვიტონ ეს მოძრაობა თავის ბუნებრივ და საიმედო მოკავშირეს — საბჭოთა კავშირს, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებს.

საბჭოთა კავშირი და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა დარწმუნებული არიან, რომ ახლო აღმოსავლეთის არაბული სახელმწიფოების მიმართ აშკარა ექსპანსიონისტური პოლიტიკა, რომელსაც ისრაელი ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების მხარი პოლიტიკური, სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერით, კვლავ დაძაბულობის მთავარი წყაროა ამ რაიონში და სერიოზულ საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას. ისრაელის ხელმძღვანელები აშკარად უგულებელყოფენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს, უწმენდ თელავენ ფეხქვეშ საერთაშორისო სამართალს, აყენებენ ოკუპირებული არაბული მიწების ანექსიის უფუნურ მოთხოვნებს, რითაც უარიყოფენ ამწვავებენ ვითარებას ახლო აღმოსავლეთში.

ისრაელი არა მარტო უგულებელყოფს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის შესრულებას, რომელიც მოითხოვს ისრაელის ჯარების მთლიანად გაყვანას მის მიერ 1967 წელს ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან, არამედ, უფრო მეტიც, განაგრძობს ამ არაბული ტერიტორიების ათვისებას. ისრაელის მმართველ წრეებს თითქოს სურთ მიიღონ პრიზი არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ აგრესიის ყაჩაღური აქტისათვის.

უკანასკნელი თვეების მოვლენები ცსადყოფენ, რომ არაბულ აღმოსავლეთში პროგრესის მოძრაობისადმი მტრული წრეები და მათი აგენტურა კვლავ ცდილობენ ბაგეებნონ არაბ ხალხთა ნება, ჩაშალონ პოლიტიკური მოწესრიგება, აიძულონ ისინი იარაღი დაყარონ იმპერიალისტთა მოთხოვნების წინაშე.

ამ პირობებში არაბულ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც განახორციელეს აგრესია, ყველა საფუძველი აქვთ გამოიყენონ სხვა საშუალებებიც ისრაელის მიერ მიტაცებული არაბული მიწების დაბრუნებისათვის.

საბჭოთა კავშირსა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც თანმიმდევრულად იბრძოლონ ახლო აღმოსავლეთის მშვიდობისა და პროგრესის მტერთა მზაკვრული ხრიკების წინააღმდეგ. ისინი ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ არაბ ხალხები სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისა და მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მხარდაჭერით ჩაფუშავენ ამ გეგმებს და არაბული აღმოსავლეთის ხალხთა პროგრესული განვითარების საქმე გაიმარჯვებს.

დრმა დამაჯერებლად დაადასტურა, რომ სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში შეიძლება დამყარდეს მხოლოდ მაშინ, თუ შესრულდება უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის ყველა დებულება, უპირველეს ყოვლისა, ისრაელის ჯარები ისრაელის მიერ აგრესიის შედეგად ოკუპირებული მთელი არაბული ტერიტორიებიდან და ეუნარუნველყოფილ იქნება პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებები. ამასთან დაკავშირებით მხარეებმა კვლავ განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში არსებული მოწესრიგებისათვის.

ისრაელის იმპერიალისტური აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისა და არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის სამართლიანი მოწესრიგების უმნიშვნელოვანესი პირობაა განვუმტკიცოთ ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ძალიერება არაბულ სახელმწიფოებს, რომლებიც პროგრესის გზას ადგანან, გავაძლიეროთ ყველა არაბ ხალხის ერთიანობა ანტიიმპერიალისტურ საფუძველზე, გადაჭრით დავთრგუნოთ მათ რიგებში განხეთქილების მეტანის ცდები.

საბჭოთა მხარემ მოლიანად დაუჭირა მხარი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკისა და სხვა არაბული ქვეყნების ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ისრაელის მიერ ოკუპირებული არაბული ტერიტორიების განთავისუფლებას. რადგანაც ახლო აღმოსავლეთში კვლავ საშიში სიტუაცია, რომელიც საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას, მხარეებმა საჭიროდ ცნეს კვლავ განიხილონ ძმური თანამშრომლობის სულისკვეთებით ღონისძიებანი, რომელთა მიზანია დაიცვან არაბი ხალხების კანონიერი უფლებები და ინტერესები, კერძოდ, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სამხედრო პოტენციალის შემდგომი გადიდების გზით. მხარეები შეთანხმდნენ კვლავაც განამტკიცონ სამხედრო თანამშრომლობა და განახორციელონ შესაბამისი დიდნიშვნელოვანი ღონისძიებანი ამ მიმართულებით.

მხარეებმა ღრმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ კარგად ვითარდება მეგობრული ურთიერთობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და ეგვიპტეს შორის, და დაადასტურეს, რომ ესწრაფვიან კვლავაც განავითარონ და განამტკიცონ ეს თანამშრომლობა ყველა დარგში.

მხარეებმა კვლავ კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირსა და ეგვიპტეს შორის მჭიდრო მეგობრობა დროებითი კი არა, მუდმივი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ურთიერთობის განვითარებას მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოსა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკას შორის, რომელიც სოციალისტური გარდაქმნების გზას დაადგა.

პრეზიდენტმა სადათმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს იმ მუდმივი მხარდაჭერისათვის, რომელსაც იგი უწევს არაბი ხალხების სამართლიან ბრძოლას ისრაელის აგრესიისა და იმპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ, ახალი, თავიხუფალი ცხოვრების მშენებლობაში.

მხარეებმა დიდი კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირში ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ა. სადათის ვიზიტის გამო, რომელიც, უეჭველია, ხელს შეუწყობს სსრ კავშირსა და ეგვიპტეს შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს.

გულითადობის ატმოსფეროში

აი რას წერს უცხოეთის პრესა

საზღვარგარეთის პრესა ბეჭდავს ინფორმაციას ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარის ანვარ სადათის საბჭოთა კავშირში ყოფნის, საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მოლაპარაკების შესახებ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ეს მოლაპარაკება მეგობრობის, გულწრფელობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობს, რაც შეესაბამება ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების სულისკვეთებას.

29 აპრილი. (საკდესი). კაიროს პრესა, რადიო და ტელევიზია დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა კავშირში ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ანვარ სადათის ვიზიტს და მის მოლაპარაკებას საბჭოთა ხელმძღვანელებთან.

„ეჭვი არ არის, — წერს კაიროს გაზეთი „ალ გუმჰურია“, რომ ახლანდელი მოლაპარაკება კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის თანამშრომლობას მეგობრობისა, გულწრფელობისა და ურთიერთგაგების“ ატმოსფეროში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ განიხილეს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოების აღმასკომებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების 1971 წლის შედეგები და აღნიშნეს, რომ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოების აღმასკომების სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელიც ფართოდ გაიშალა სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად და მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად, კიდევ უფრო გააუმჯობესა ამ საბჭოებისა და მათი აღმასკომების საქმიანობა, ხელი შეუწყო მათი როლის შემდგომ ამაღლებას სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში.

შარშან სასოფლო (სადაბო) საბჭოების აღმასკომების დიდმა ნაწილმა წარმატებით შეასრულა საგეგმო დავალებანი და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინეს:

მიენიჭოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მიეცეთ პირველი პრემია თვითეულს 250 მანეთის ოდენობით:

ხელვაჩაურის რაიონის თხილნარის სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ი. მიქელაძე);

ლანჩხუთის რაიონის აცანის სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე დ. თედორაძე);

გურჯაანის რაიონის ველისციხის სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ი. მხარგრძელი);

ვანის რაიონის დიხაშხოს სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ნ. შენგელია);

გარდაბნის რაიონის ნორიოს სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე რ. თაყაშვილი).

მიენიჭოთ მეორე პრემია თვითეულს 150 მანეთის ოდენობით:

ჭობულეთის რაიონის ოჩხამურის სადაბო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ლ. კაკალაძე);

ამბროლაურის რაიონის ბუგეულის სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე გ. სოხაძე);

ლენტეხის რაიონის ლენტეხის სადაბო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ვ. გვიდიანი);

ხობის რაიონის პირველი მაისის სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ი. კიკვინია);

ქარელის რაიონის ბრეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ჯ. ჯაფიაშვილი).

მიენიჭოთ მესამე პრემია — თვითეულს 100 მანეთის ოდენობით:

ბოლნისის რაიონის ქვეშის სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ს. ხარფხანიანი);

დუშეთის რაიონის ფასანაურის სადაბო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე გ. ქავთარაძე);

მესტიის რაიონის ცხუმარის სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე შ. ხალლიანი);

ზესტაფონის რაიონის ქვედა საზანოს სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე მ. ურიადმყოფელი);

სამტრედიის რაიონის ღანირის სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე დ. ქაჯაია).

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, თბილისის, ჭიათურის, ტყიბულის საქალაქო, აგრეთვე რესპუბლიკის რაიონული საბჭოების აღმასკომებსა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის შესაბამის კომიტეტებს დაეალათ ფართოდ განიხილონ სოციალისტური შეჯიბრების შეჯამება ყველა სასოფლო (სადაბო) საბჭოს სესიებზე და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელებიც მიზნად ისახავენ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად და მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად. (საქინფორმი).

მოსკოვის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ოთხი თვის გეგმა

მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს და ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ვადამდე, 29 აპრილს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ოთხი თვის გეგმა.

გეგმით გათვალისწინებული დავალებების გადაჭარბებით მრეწველობა გამოუშვებს გაცილებით მეტ ხელსაწყოებს, ავტომატიზაციისა და გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებებს, მანქანათმშენებლობის ავტომატურ ხაზებს, პროგრამული მართვის სპეციალიზებულ და აგრეგატულ ჩარხებს, ელექტროძრავებს, ტრანსფორმატორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებს, ელექტროენერგიულ მოწყობილობას, საყოფაცხოვრებო მაცივრებს, საათებს, ავეჯს, ზედა ტრიკოტაჟსა და სახალხო მოხმარების სხვა საქონელს.

პროდუქციის წარმოების მთელი მატება მიღწეულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

პირველი ნაგლინი

ზაპოროჟიე, 28 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს „ზაპოროჟფოლადის“ ქარხანაში გამოუშვეს ცივი გლინვის ახალი ოცვალიანი დგანის პირველი პროდუქცია. იგი ააგეს „ზაპოროჟმშენის“ ტრესტისა და სპეციალური სამონტაჟო ორგანიზაციების მშენებლებმა.

სხვა დგანებისაგან განსხვავებით იგი იძლევა თითქმის ორჯერ თხელ — 0,4 მილიმეტრამდე ფოლადის უქანგავ ფურცელს, ვიდრე ამჟამად ქარხანა უშვებს. აგრეგატის გლინვის სიმძლავრეა 60 ათასი ტონა ნაგლინი წელიწადში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

□ **მინგეჩაური.** (აზერბაიჯანის სსრ). ახალგაზრდა ინდუსტრიულ ქალაქში დაიწყო 12 სართულიან შენობათაგან შემდგარი მიკრორაიონის მშენებლობა, რომლებიც მტკვრის ნაპირას აშენდება. მოქალაქენი მარტო წლევანდელ ხუთწლედში მიიღებენ ასი ათას და მეტ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს — თითქმის ერთახვარჯერ მეტს, ვიდრე მინგეჩაურს აქვს დღეს.

□ **რიგა.** ცხრა ათასზე მეტი ტრანზისტორული მიმღები, რადიოლა და უნივერსალური ელექტროფონი დაამზადეს გეგმის გადაჭარბებით „გაერთიანება „რადიოტექნიკა“ და ვ. ი. ლენინის სახელობის „ვეფის“ ქარხნის მშრომელებმა. სერიული წარმოებისათვის მომზადებულია გადიდებული საექსპლოატაციო თვისებების მქონე აპარატები — „ვეფ-202“, „ვეფ-206“, „სელგა-403“ მცირე გაბარიტიანი ტრანზისტორული მიმღებები და სხვები.

□ **ორჯონიკიძე.** სოფელ ჰუმალაგში 800 ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური ჩაგვა მწყობრში. ხუთწლედის დამლევისათვის ავტომატური სატელეფონო სადგური იმოქმედებს ჩრდილოეთ ოსეთის თითქმის ყველა შორეულ დასახლებულ პუნქტში.

□ **ბატუმი.** (ლენინგრადის ოლქი). აქ დაიწყო შემსუბუქებული კონსტრუქციებისაგან დამზადებული მთლიანად ასაწყობი მეცხოველეობის სადგომების საწარმოო სასოფლო სამშენებლო კომბინატის აგება. მისი სიმძლავრე ასი მეცხოველეობის სადგომია წელიწადში. საწარმო არა მარტო დაამზადებს, არამედ ააწყობს კიდეც მათ. მეურნეობები, ამრიგად, მიიღებენ საკვლევ-პლოატაციოდ გამზადებულ ობიექტებს.

კომბინატი მწყობრში ჩადგება მომავალ წელს. (საკდესის კორ.).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲐᲕᲭᲝᲠᲘᲫᲔᲯᲘ

ᲙᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲭᲝᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ დიადი სამშობლოს ხალხები გაცხოველებით ემზადებიან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის, რაც მიმდინარე წლის 30 დეკემბერს აღინიშნება.

ამ დიდი საყოველთაო-სახალხო ზეიმისათვის მზადების ფერხულში ჩაბმული ირიან ჩხოროწყუს რაიონის მშრომელებიც, რომელთა მთელი მეცადინეობა იქითკენ არის მიმართული, რომ ახალი შრომითი საქმეებით გაახარონ სამშობლო.

მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად, სათავეში უდგანან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები — მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, რომლებმაც უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე საგრძნობლად გაუმჯობესეს მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა. ამას კი მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის 5 მარტის დადგენილებამ „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამით რაიონული და სასოფლო საბჭოების კიდევ უფრო გააქტიურდა და ახალ სიმაღლეზე ავიდა. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და რაიონულ საბჭოს აღმასკომმა შეიმუშავეს მთელი რიგი ღონისძიებები. უწინარეს ყოვლისა, ეს არის საბჭოების, მათი აღმასკომების როლის გაზრდა, თვითთანამეგობრობის გაღვივება, სრული დამოუკიდებლობა მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში, რადგანაც სოფლის საბჭოებმა, ტერიტორიულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უკეთ იციან, სად რა არის გასაკეთებელი, როგორ დაეხმარონ საწარმოებს, კოლმეურნეობებს, სოფლის მოსახლეობას კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონის ამაღლებაში.

ყველაფერი ეს კეთდება დეპუტატების მეშვეობით. აქამდე რაიონის ერთ სადაბო და 12 სასოფლო საბჭოში 492 დეპუტატი მოღვაწეობს. შექმნილია 63 მუდმივმოქმედი კომისია. პარტიის რაიკომი კომუნისტ დეპუტატთა საქმიანობის გაუმჯობესებით, მათი ავანგარდული როლის ამაღლებით ამა თუ იმ საწარმოსა თუ საზოგადოებრივ მეურნეობაში ქმნის საქმიან ატმოსფეროს. კომუნისტ დეპუტატთა როლის ამაღლება დადებით გავლენას ახდენს სამეურნეო საქმიანობაზე, და მათ ბევრი უპარტიო მშრომელი ბაძავს. ამით რაიკომის ხელში გადადის ზეგავლენისა და ხელმძღვანელობის, ასე ვთქვათ, „უხილავი ძაფები“.

პარტიის რაიონული კომიტეტის შემადგენლობაში შედიან კომუნისტი დეპუტატები, რომელთა შორის არის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. ამიტომ რაიკომი საესებით მიზანშეწონილად თვლის რაიკომის შემადგენლობაში მყოფი სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენას. ისმება კითხვა: ამით ხომ არ ვეწევით რაიონული საბჭოს აღმასკომის მაგიერობას, ხომ არ ვართმევთ მას ფუნქციას? არავითარ შემთხვევაში! კომუნისტმა დეპუტატებმა მაგალითი უნდა გვიჩვენონ პარტიის საქმის განხორციელებისათვის ბრძოლაში, რაიკომი ვერ მოითმენს მათს ინერტულობას.

პარტიის რაიკომი თვითონაც აწვდის ხოლმე ინფორმაციას თავის მუშაობაზე, რიგითს კომუნისტებს, რომელთა შორის ბევრია დეპუტატი, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე. მოვიყვან ასეთ საანგარიშო ფაქტს: მიმდინარე წლის 16 მარტს ერთ-ერთ დიდ სოფელში — ხაბუმში რიაკომის მიერ მოწვეულ მოსახლეობის მიმდინარე მუშაობის შესახებ მოახსენა კრებას. რომელსაც ესწრებოდნენ სასოფლო საბჭოს კომუნისტი დეპუტატები და რაიონული საბჭოს აღმასკომის თანამშრომელი. ამ კრებაზე საინტერესო წინადადებანი წამოაყენეს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. ოფხაზავამ, დეპუტატებმა ა. ბეღლუამ, არ. გოგუამ, სოციალურ-კულტური შრომის გმირმა ნათელა შენგელიამ და სხვებმა.

ხაბუმი ძალიან კარგი სოფელია, იქ ბევრ ადამიანები ცხოვრობენ. მაგრამ დრო სწრაფად გადის, იზრდება მშრომელთა კულტურა და მოთხოვნილება; ამიტომ რაც გუშინ საკმარისად გვეჩვენებოდა, დღეს იგი საკმარისი აღარ არის. საბჭოთა მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე იზრდება ადამიანის ინტერესთა სფერო, მისი მისწრაფება ეკონომიური განათლებისადმი, ურომლისოდაც ძნელია შრომა და საქმის გაძღოლა. ამაზეც თქვეს ადამიანისათვის მეტი სარგებლობის გასაწევად. ჩვენი პარტიის უმაღლესი მიზანი ხომ ადამიანისათვის ზრუნვაა!

სადაბო და სასოფლო საბჭოების მოქმედ მუშაობაზე, მათთვის მინიჭებული ფართო უფლებების დროულად, სწორად განხორციელებაზე ბევრად არის დამოკიდებული სოფლების, ცალკეული შორეული უბნების კეთილმოწყობა, საზოგადოებრივი საერთო ცხოვრების წესების დაცვა, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი ამაღლება. მაგრამ ამ მხრივ ზოგან ყველაფერი რიგზე როდია. ნაწილობრივ ხასიათდება ზუმის, ლეწურწუმის, თაიის სასოფლო საბჭოების მუშაობა. ზოგან სესიებსა და აღმასკომების სხდომებს რეგულარულად არ იწვევენ, ფორმალურად არსებობენ მუდმივი კომისიები.

საბჭოების მუშაობის მნიშვნელოვანი უბანია მშრომელთა წერილები და განცხადებები. რაიონში ეწყობა იურიდიული კონსულტაციები, რომლებზეც მშრომელები ხალისით მიდიან და პასუხს იღებენ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

მაგრამ, ამის მიუხედავად, ზოგიერთი სასოფლო საბჭო კვალიფიციურ პასუხს არ აძლევს განცხადებელს, რის გამო იგი შემდეგ რაონულ ორგანოებში მიდის. ეს ერთგვარად მოქმედებს საბჭოების ავტორიტეტზე, ჩრდილს აყენებს სოფლის მეთაურ ორგანოს. ამიტომ პარტიის რაიონული კომიტეტი რაიონული საბჭოს აღმასკომთან ერთად ცდილობს ყველგან მიაღწიოს მშრომელთა განცხადებების ზუსტ აღრიცხვას, ისინი მოწმდებოდეს დეტალურად, კვალიფიციურად. ამ საკითხებს მივუძღვნით არაერთი თათბირ-სემინარი.

პარტიის რაიონული კომიტეტი სათანადო ყურადღებით რომ ეკიდება საბჭოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ მიმდინარე წლის მარტში სპეციალური პლენუმი მიეუძღვნით ამ საკითხს. მისი მონაწილენი დაინტერესდნენ საბჭოების მუშაობის სურათით, ახალი ამოცანებით. გაკრიტიკებულ იქნენ ჩამორჩენილნი, შეიქეს მოწინავენი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ნაკლოვანებებს იწვევს ზოგიერთი მუშაკის ზერელე საქმიანობა, ფორმალობა. პლენუმმა თავის დადგენილებაში ჩაწერა, რომ მთავარია საქმიან გადაწყვეტილებათა შესრულება, თვითიეული დეპუტატის ჩაბმა ამ საქმეში. გარდა ამისა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, — ნათქვამია დადგენილებაში, უნარიანად უნდა გამოიყენონ მშრომელებთან დამაკავშირებელი საიმედო რგოლები — პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მართალია პლენუმიდან დიდი დრო არ გასულა, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მან ხელი შეუწყო რაიონის სასოფლო საბჭოების საქმიანობის გააქტიურებას.

პარტიამ მოგვიწოდა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი აღვნიშნოთ ახალი მიღწევებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ამ ღირსსახსოვარი თარიღისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება, სულ უფრო ფართოვდება და ძალებს იკრებს. მკაცრი ზამთრისაგან გამოწვეული ზარალის მიუხედავად, ხჩოროწყუს რაიონის მშრომელები, რომლებსაც უნარიანად რაზმავენ პირველადი პარტორგანიზაციები, სასოფლო საბჭოები კვლავაც ძალებს და ცოდნას არ დაიშურებენ იმისათვის, რომ წელს მოიყვანონ ყველა კულტურის უხვი მოსავალი, ხელდამშენებულნი შეხვდნენ დიად იუბილეს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

დ. ჯიჯელავა,
საქართველოს კპ ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი.

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული კონტროლის კომიტეტში მოდის წერილები, რომელთა ავტორები იუწყებიან კოლექტიური მებაღეობის წარმოების მარეგლამენტირებელ კანონდებულებათა დარღვევის შესახებ. მოელ რიგ ადგილებში ბაღის პატარა სახლების სახით აგებენ კაპიტალურ აგარაკებსა და სხვა შენობებს.

ზოგიერთი მუშაკი, იყენებს რა სამსახურებრივ მდგომარეობას, სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების საზიანოდ აგარაკებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობაზე ანდიდებს დეფიციტურ, სასტიკად ფონდირებულ მასალებს, სხვადასხვა მექანიზმებს, ტრანსპორტს და საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებსაც კი. აღნიშნება იმეორე შემთხვევებიც, როცა თანამდებობის პირებს შორის არასაქმიანი ურთიერთობის ნიადაგზე ააგაროკო შენობებს აგებენ ურთიერთისათვის სამსახურის გაწევის წესით.

ამას წინათ პარტიული კონტროლის კომიტეტმა, შეამოწმა რა შემოსული განცხადება, გამოარკვია, რომ რსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილემ, სკკპ წევრმა ამხ. ვ. ფ. კუზნეცოვმა, ბოროტად გამოიყენა რა სამსახურებრივი მდგომარეობა, კიროვის საოლქო სარემონტო-სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელებს მიმართა ბრაკანონიერი თხოვნით მოსკოვის ოლქში ააგარაკო შენობის დამზადებისა და აგების შესახებ.

ამ ტრესტის მმართველმა, სკკპ წევრმა ამხ. ვ. ფ. ერიშევმა, იმ ვარაუდით, რომ დამატებითი რაოდენობით მოწყობილობას მიიღებდა, დაკმაყოფილა ამხ. კუზნეცოვის თხოვნა და პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევით გასცა მითითება დაემზადებინათ ერთ-ერთ საწარმოო უბანზე საააგარაკო შენობა. დაკლებულ ფასად. როცა აგარაკი დამზადებულ იქნა, იგი მოსკოვის ოლქში გაიტანეს და ტრესტის მუშების ძალებით ბაღის ნაკვეთზე ააგეს. ამხ. კუზნეცოვისა და ამხ. ერიშევის მიერ დაშვებულმა ბოროტმოქმედებამ გამოიწვია არა მარტო მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, არამედ სერიოზული მორალური ზიანიც. ამ უკანონო ოპერაციაში ჩაბმული იყვნენ სხვა მუშაკებიც; აგარაკის მშენებლობას თან ახლდა სამსახურებრივი დოკუმენტების ფალსიფიკაცია.

სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევისათვის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისა და აგარაკის უკანონო მშენებლობაში კიროვის საოლქო სარემონტო-სამშენებლო ტრესტის მმართველის ჩაბმისათვის, აგრეთვე ამ საქმის შემოწმებისას არაგულწრფელობისათვის რსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილე ამხ. პ. ფ. კუზნეცოვი გარიცხულია სკკპ წევრობიდან.

პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევისათვის, რაც გაღიზიანება კერძო პირისათვის, აგარაკის უკანონო მშენებლობის ორგანიზაციით, და ამასთან საფფრო მასალების განიავების დაშვებისათვის პარტიიდან გარიცხულია კიროვის საოლქო სარემონტო-სამშენებლო ტრესტის მმართველი ამხ. ვ. ფ ერიშევი.

საყვედური გამოეცხადა კიროვის საოლქო აღმასკომის კომუნალური მეურნეობის სამმართველოს უფროსს ამხ. გ. ა. მახარაძეს მის მიერ დაშვებული უკონტროლობისათვის, რის შედეგად საქვეუწყებო ორგანიზაციაში შესაძლებელი გახდა აგარაკის უკანონო მშენებლობა.

პარტიული კონტროლის კომიტეტმა რსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პარტკომის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა აპარატის თანამშრომელთა შორის გაძლიერდეს აღმზრდელობითი მუშაობა მინდობილი საქმისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლების, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის სასტიკად დაცვის სულისკვეთებით.

ჟურნ. „პარტიინაია ჟიზნ“, № 6.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 აპრილის ბრძანებულებები პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, სოფლის მეურნეობის და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდნენ:

მაკარ ივანეს-ძე ᲧᲐᲨᲘ — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს განყოფილებიანგამგე, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ალექსი სოლომონის-ძე ᲫᲘᲛᲘᲙᲚᲘᲫᲘ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული კომისიის წევრი, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

გიორგი გრიგოლის-ძე ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲘ — პერსონალური პენსიონერი, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ — ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔ-2 ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

ᲒᲐᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მე-2 პლენუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის თ. მოსაშვილის მოხსენება „სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობის შედეგები და რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები“.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობამ, — ამბობს მომხსენებელი, — შეაჯამა საბჭოთა პროფკავშირების ოთხი წლის მუშაობის შედეგები. მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო სკკპ XXIV ყრილობა, რომელმაც განსაზღვრა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, შეიმუშავა ახალ ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა.

საბჭოთა ხალხის დიად მონაპოვართა განსორციელებაში ღირსეული წვლილი შეაქვთ პროფესიულ კავშირებს, რომელთა როლი განსაკუთრებით გაიზარდა კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე. საბჭოთა პროფკავშირების როლისა და მნიშვნელობის მაღალი შეფასება მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობისადმი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში პარტიის წინასწარდასახულობათა წარმატებით შესრულებისათვის ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ აგრეთვე საქართველოს მრრომელები.

მერვე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში სწრაფი ტემპით იზრდებოდა საწარმოო ძალების სიმძლავრე. მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ჩვენმა მრეწველობამ. სამრეწველო წარმოების მოცულობა ერთნახევარჯერ და მეტად გაიზარდა, აგებული და რეკონსტრუირებულია 280 სამრეწველო საწარმო და საამქრო. წარმატებით ვითარდებოდა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობა. კარგად იმრომეს მეჩაიეებმა, მევენახეებმა, მხეზელ-მთესველებმა და სხვა დარგების მშრომელებმა.

საქართველოს მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს 1971 წლის გეგმა. წარმატებით განაღდებულია 1972 წლის პირველი კვარტალის დავალებანი.

ფართოვდება და ვითარდება საქართველოს მშრომელთა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ამ შეჯიბრებაში ახლა მონაწილეობს 918 ათასზე მეტი კაცი.

პარტიის, მთავრობისა და პროფკავშირების ყურადღების ცენტრში მუდამ იყო და არის საბჭოთა ადამიანისათვის ზრუნვა.

დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დარგში. შემოღებულია კოლმეურნეთა პენსიებით უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა, გაიზარდა ასიგნებები მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და დასვენებისათვის. ადგილების რაოდენობა რესპუბლიკის პროფკავშირულ ჯანმრთელობის კერებში 4,3 ათასი საწოლით გაიზარდა. სოციალური დაზღვევის რესპუბლიკური ბიუჯეტი წელს 9,5 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

ფართო მასშტაბით ხორციელდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. რესპუბლიკის პროფკავშირები აგებენ ახალ კეთილმოწყობილ კლუბებსა და კულტურის სახლებს, სპორტულ ნაგებობებს, სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს, პანსიონატებს, ტურისტულ ბაზებს, სასტუმროებს, პიონერთა ბანაკებსა და სხვ.

საქართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გაუმჯობესეს მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. გაიზარდა პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი, გაუმჯობესდა მათი მუშაობის შინაარსი და ფორმები.

ორატორებმა თავიანთ გამოსვლებში გამოავლინეს არსებითი ნაკლოვანებანი რესპუბლიკის პროფკავშირთა მუშაობაში.

პლენუმმა მოიწონა სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობის გადაწყვეტილებანი და მიიღო ისინი სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად. განხილული მოხსენების გამო მიღებულია დადგენილება.

შეიქმნა საქართველოს პროფსაბჭოს მუდმივი კომისია — საბიუჯეტო, ახალგაზრდობის შორის მუშაობის, საწარმოო მასობრივი და ეკონომიური მუშაობის, შრომის დაცვის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის, კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურული მუშაობის კომისიები, დამტკიცებულია მათი შემადგენლობანი.

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა ნ. ვასაძე გაათავისუფლა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრისა და მდივნის მოვალეობისაგან.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ლაბახუამ. (საქინფორმი).

,,ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲪ...

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲨᲔᲯᲐᲚᲣᲚᲔᲑᲡ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ Გ. ᲥᲐᲓᲐᲒᲘᲫᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის 11 მარტის ნომერში დაიბეჭდა შეთხვევების — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ლ. ბანეთიშვილის, ნ. გოგოჭურისა და მ. სპანდერაშვილის წერილი სათაურით „თბილისი — ლენინგრადიც...“, რომელშიც ავტორები ეხებოდნენ თბილისი-ლენინგრადის მიმართულებით პირდაპირი ვაგონების დანიშვნის საკითხს.

ამ წერილთან დაკავშირებით ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა გ. ქადაგიძემ რედაქციის შეატყობინა:

„მაისის ბოლო რიცხვებში ჩვენი გზა გადავა მატარებლების მოძრაობის ახალ საზაფხულო განრიგებაზე, რომლითაც თვალსაწინებლად ეზრდება თბილისი-ლენინგრადის პირდაპირი ვაგონის მიმოსვლა თბილისი-სოხუმის 245-246 და სოხუმი-ლენინგრადის 145-146 მატარებლებით“.

ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲠᲣᲡᲗᲔᲚ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. (საკ. კორ.). რუსის კოლმეურნეობა „საქართველო“ ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი დიდი და მრავალდარგოვანია. კოლმეურნეობას ათობით სხვადასხვა მარკის ტრაქტორები, მანქანები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა აქვს.

რუსის საშუალო სკოლის მოსწავლეებიც ეცნობიან და სწავლობენ კოლმეურნეობის ტექნიკას, მის რემონტს, მართვას, დაინტერესებულნი არიან ტექნიკის დაუფლებით. სკოლა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა სამეჯლოო გახდა.

წელს რუსის საშუალო სკოლას ათობით მოსწავლე ამთავრებს. და აი, მათ შორის მეათეკლასელმა თამაზ ჭკადუამ განცხადებით მიმართა რუსის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს ალ. კუტალიას და სთხოვა სკოლის დამთავრების შემდეგ ჩარიცხონ რუხელ მექანიზატორთა ოჯახში — მექანიზატორად.

მეათეკლასელ თამაზ ჭკადუას ინიციატივას — სკოლის დამთავრების შემდეგ იმუშაოს მშობლიურ კოლმეურნეობაში მექანიზატორად, მხარი დაუჭირეს მისმა ამხანაგებმა, მეათე კლასის მოსწავლეებმა — დემურ ფაციამ, დემურ ფარცვანიამ, რუდიკ ჯღარკავამ, ჯონი ფარცვანიამ და სხვებმა.

რუხელ მოსწავლეთა ინიციატივა მისაბაძია.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲐᲖᲔ: (მარცხნიდან მარჯვნივ) **ინსტრუქტორ-მასწავლებელი, ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ინჟინერ-მექანიზატორი ზ. ჯიქია, რუხის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ნაჭყებია, მომავალი მექანიზატორები დემურ ფაცია, თამაზ ჭკადუა და დემურ ფარცვანია.**

Გ. ᲧᲣᲨᲣᲜᲘᲐᲡ ფოტო.

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ

ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ ღირსშესანიშნავი, დიდი თეორიული და პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია.

ამ დადგენილებამ მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო, რადგან „სსრ კავშირის შექმნასა და წარმატებით განვითარებას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იგი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია მთელი კაცობრობის სოციალურ პროგრესში. მრავალეროვანნი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის, ჩვენი ხალხების საერთო მეცადინეობის განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების, ურთულესი ეროვნული საკითხის გადაჭრის საბჭოთა გამოცდილებამ მოსფლიო აღიარება ჰპოვა და ფასდაუდებელ დახმარებას უწევს სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ყველა მებრძოლს“.

ჩვენი პარტიის ამ ფაართო თეორიული და პრაქტიკული, პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტში ყოველმხრივ განხილულია ეროვნული საკითხის მრავალი მხარე და შეჯამებულია ის დიდი გამოცდილება, რომელიც მოგიპოვეთ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში.

თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში, ადამიანთა შეგნებაში ეროვნულ საკითხს დიდი ადგილი უჭირავს. ამ საუკუნის მეორე მანძილზე ეროვნული საკითხი, მისი მრავალი ასპექტი სპეციალური თეორიული კვლევისა და შესწავლის საგანი გახდა. ბურჟუაზიამ, მისმა თეორეტიკოსებმა თავი ვერ გაარღვეს, ვერ გაერკვნენ ამ საკითხის არსებაში.

ეროვნული საკითხი პირველ რიგში სოციალურ ცხოვრებას განეკუთვნება. ერის ფორმირება ან, როგორც კ. მარქსი და ფ. ენგელსი ამბობდნენ, კონსტიტუირება რთული და დიდი დროის მომცველი პროცესია.

ისტორიის განვითარების მხოლოდ გარკვეულ საფეხურზე, კაპიტალიზმის ეპოქაში, საბოლოოდ ყალიბდებიან ეროვნული კოლექტივები, მთავრდება ერის ფორმირება. ერებს შორის მყარდება გარკვეული დამოკიდებულებანი. კოლონიურ სამყაროში, მრავალეროვან ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში წარმოიშობა ეროვნული მოძრაობანი. ეროვნული მოძრაობა წარმოქმნის, მწვავე ხასიათს ანიჭებს ეროვნულ საკითხს და მასთან დაკავშირებულ მრავალ თავსატეხ პრობლემას.

სხვადასხვა კლასს, საზოგადოებრივ ფენას, წოდებას სხვადასხვაგვარად ესმით ეს საკითხი, ეს პრობლემები.

ყოველი კლასი ცდილობს თავისი ინტერესებისათვის გამოიყენოს ის რთული კოლიზიები, რომელთაც იწვევს ეროვნული მოძრაობა. ეროვნული საკითხი მოიცავს არა მარტო ეკონომიური, პოლიტიკური, იდეოლოგიური ცხოვრების სფეროს, ის მეტნაკლებად გრძნობათა, განცდათა, ემოციათა სამყაროშიც პოულობს გამოძახილს და გამოვლინებას. ადამიანი არ შეიძლება არ ფიქრობდეს სამშობლოზე, მის წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე, მის ხვედრზე, თავისი ხალხის, ერის დამოკიდებულებაზე სხვა ხალხებთან, ერებთან.

თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრებაში ეროვნული საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ჩვენს თვალწინ დაიმსხვრა საუკუნეების მანძილზე შექმნილი კოლონიალიზმის რთული ეკონომიური და პოლიტიკური სისტემა. ასეულ მილიონობით ხალხები ერებად ყალიბდება, იმიჯნება ახალ ეროვნულ სახელმწიფოთა ხაზღვრები, წარმოიქმნება და მტკიცდება ეროვნული შეგნება, ეროვნული სიამაყის გრძნობა.

თითქოს მკვდრეთით აღდგნენ დიდი ცივილიზაციების შემოქმედი ხალხები და ეროვნული დრაშმა გარშემო ირაზმებიან ისინი, ახალ სახელმწიფოებს აშენებენ.

სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა კლასი ხელმძღვანელობს ეროვნული გაერთიანების პროცესს, სხვადასხვა კლასი უდგება სათავეში ერს, და ერის ინტერესებს თავის ინტერესს უმორჩილებს.

იმპერიალიზმი, რეაქცია თავის პოზიციებს ადვილად როდი თმობს. ის ცდილობს კოლონიალიზმი ნეოკოლონიალიზმით შეცვალოს, მოიკოვოს პოზიციები ეკონომიური, ინტელექტუალური ცხოვრების, კულტურის სხვადასხვა სფეროში. მესამე სამყაროში იმპერიალიზმი ცდილობს შექმნას გარკვეული სოციალური ბაზა, რომელიც მისი დასაყრდენი გახდება. ახლა, ისე როგორც არასოდეს, დგება კარდინალური, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის საკითხი, სახელდობრ, რომელი კლასი, რომელი ფენა აიღებს ხელში ეროვნულ დროშას და ვინ გაუძღვება ხალხს ახალი ცხოვრების მშენებლობის არც თუ ადვილად დასაძლევ გზაზე.

.აი ასეთ ურთულეს სიტუაციაში ერები, ხალხები, მშრომელთა ფართო დემოკრატიული ფენები, მუშები, გლეხები, ინტელიგენცია ეძებენ ისეთ მოდელს, რომელიც მიზანშეწონილად, ისტორიული პერსპექტივის სწორი გათვალისწინებით მისცემდა მათ საშუალებას ეშენებინათ ეროვნული, მთელ რიგ შემთხვევებში კი მრავალეროვანი სახელმწიფოები.

ამ მხრივ ყველაზე დიდი გამოცდილება მთელ მსოფლიოში სწორედ ჩვენს ქვეყანას გააჩნია, მრავალეროვანი სახელმწიფოს მშენებლობის სწორეთოვარი მოდელი სწორედ ჩვენ შევქმენით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ვკითხულობთ: „ახალი ტიპის მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის გამოცდილება მოწმობს, რომ მხოლოდ სოციალისტური რევოლუცია უზრუნველყოფს ხალხის მთელი ძალების მჭიდრო გაერთიანებას მუშათა კლასის მეთაურობით კაპიტალისტური ექსპლუატაციის სისტემისა და ამასთანავე ეროვნული ჩაგვრის სისტემის ლიკვიდაციის მიზნით..., რომ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მრავალეროვანი სახელმწიფოს მოწყობის ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და სრულყოფილი ფორმაა, რომელშიც მთელი საზოგადოების ინტერესები პარმონიულად შეხამებულია თვითეული ერის ინტერესებთან“.

ძველი რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, ჯგუფები ცდილობდნენ გამოემუშავებინათ მათი ინტერესებისათვის შესაფერი ეროვნული პროგრამა. ყველა ეს ცდა უნაყოფო გამოდგა, თვით ეს პარტიები ისტორიის ქარიშხალმა აიტაცა და მოსცო.

ჩვენში ქართველი მეშვეიკები, სოციალ-ფედერალისტები, მემარჯვენენი თუ მემარცხენეები, ნაციონალ-დემოკრატები ხალხს სთავაზობდნენ ეროვნული საკითხის მოგვარების თავიანთ პროგრამებს.

მათი პოზიცია, რეკომენდაციები უტოპიურ, რეაქციულ ხასიათს ატარებდნენ, რადგან ეროვნული საკითხის გადაწყვეტას გულისხმობდნენ ექსპლუატაციის სისტემის ლიკვიდაციის გარეშე. ისინი არ თვლიდნენ ეროვნულ საკითხს სოციალურ საკითხად, მას თვითმყოფ ხასიათს ანიჭებდნენ. ამ პარტიების ერის თეორიები იდეალისტურ, არც თუ იშვიათად მისტიკურ საფუძველებზე იყო აგებული. ეს ფარი

ინდოჩინეთის ფრონტებზე

ჰანოი. 29 აპრილი. (საკდესი). ამერიკის ავიაციამ 27 აპრილს დაბომბა ჩრდილოეთ ვიეტნამის პროვინციების თხანთხოისა და კუანგბინის ქალაქები და სოფლები. დაიხოცა ბევრი მშვიდობიანი მოსახლეობა, დაინგრა დიდძალი სახლები.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღეს გამოქვეყნებულ განცხადებაში დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის ახალი აქტები და მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს ყველა საომარი მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

რესპუბლიკის სახაერო დაცვის ნაწილებმა ჩამოაგდეს შვიდი თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობენენ 27 აპრილის თავდასხმებში.

ნიუ-იორკი. 29 აპრილი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული დაბომბვითი ავიაცია განაგრძობდა სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიის მახირებულ დამობმბას. „ბ-52“ ტიპის თვითმფრინავები 36 საათის მანძილზე 20-ჯერ დაეხეხნენ თავს კუანგჩის, კონტუმის, ბინლონგისა და ტაინინის პროვინციებს.

პარიზი. 29 აპრილი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალები სულ უფრო მეტდრო რკალად ერტყმიან ქალაქ კუანგჩის, სატანკო ბრძოლები მიმდინარეობს უშუალოდ ქალაქის ახლოს. განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების არტილერიამ ააფეთქა ტყვია-წამლის საწყობი ქალაქის შემოგარენში. განთავისუფლების ჯარების ნაწილები დღეს შევიდნენ კუანგჩის პროვინციის მეორე დიდ ქალაქში — დონგჰაში და ხელთ იგდეს იგი.

განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების სატანკო ნაწილები უტეევენ საიგონის ჯარების პოზიციებს ცენტრალურ პლატოზე ქალაქ კონტუმის ჩრდილოეთ და სამხრეთ მისადგომებთან. ქალაქისაკენ მიმავალ სახმელეთო ყველა მაგისტრალს კონტროლს უწევენ პატრიოტები. წუხელ რაკეტების ცეცხლი დაუშინეს ბლეიკუს სამხედრო აეროდრომს.

საგონის ჯარებმა უბრძოლველად დატოვეს ბინდინის პროვინციის ზღვის სანაპიროზე სამხედრო ბაზა „ოლი“.

განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების საჰაერო დაცვის ქვეგანაყოფებმა გუშინ კონტუმისა და ბინდინის პროვინციებში ჩამოაგდეს ამერიკელთა ორი თვითმფრინავი, რომლებიც ეხმარებოდნენ საიგონის ჯარების რეჟიმს. დღეს კუანგჩის პროვინციაში ჩამოგდებულია „ფანტომის“ ტიპის რეაქტიული თვითმფრინავი.

შეუპოვარი ბრძოლები მიმდინარეობს აგრეთვე ქალაქ ანლოკის გარშემო და ქალაქ ტაინინის სამხრეთით.

ჰანოი. 29 აპრილი. (საკდესი). განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა 25 აპრილს ბინდინის პროვინციის ლაიკანინის რაიონში მწყობრიდან გამოიყვანეს საიგონის მარიონეტული ჯარების მეორმოცე ქვეითი პოლკის მესამე ბატალიონი.

ბარიის პროვინციაში სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა 24 აპრილს წარმატებით შეუტიეს დიკთანნის სამხედრო ბაზას და მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი ზარალი მიაყენეს. იმავე დღეს ბენჩის პროვინციაში განთავისუფლების არმიის ქვეგანაყოფებმა შეუტიეს მოწინააღმდეგის პოზიციებს პროვინციული ცენტრის რაიონში.

ქხმერის საინფორმაციო სააგენტოს მონაცემებით, 26 აპრილს დილით სვაირიენგის პროვინციებში კამბოჯის ეროვნული განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ჯარებმა შეუტიეს პნომპენის ჯარების სამხედრო ბაზას პროვინციული ცენტრის აღმოსავლეთით 40 კილომეტრზე, მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 500-ზე მეტი ჯარისკაცი და ხელთ იგდეს 300 ერთეული სხვადასხვა იარაღი.

24 აპრილს ქალაქ სვაირიენგის რაიონში ქხმერმა პატრიოტებმა დახოცეს, დაჭრეს და დატყვევეს მტრის 340 ჯარისკაცი.

12-დან 19 აპრილამდე სიემრეაპის რაიონში კამბოჯის ეროვნული განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა დახოცეს და დაჭრეს მოწინააღმდეგის 1.100-ზე მეტი ჯარისკაცი.

ლაოსის პატრიოტულმა ძალებმა, რომლებიც იგერიებდნენ ამერიკის ავიაციის თავდასხმებს, 24 აპრილს ჩამოაგდეს ამერიკელთა თვითმფრინავი და ვერტმფრინავი.

ამრიგად, დღეისათვის ლაოსის პატრიოტულმა ძალებმა მაერსა და მიწაზე მოსპეს მოწინააღმდეგის 2.359 თვითმფრინავი და ვერტმფრინავი, იუწყება კოსან პატეტ ლაოს სააგენტო.

ᲐᲥᲛᲐᲗᲘ ᲓᲦᲔ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

ᲮᲔᲚᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲔᲜ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲐᲜᲢ ᲣᲚᲢᲠᲘᲔᲑᲘ

29 აპრილი. (საკდესი). ოლსტერში ვესტმინსტერის პირდაპირი მართვა-გამგეობის შემოღების შემდეგ პროტესტანტი „ულტრები“ ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქების კათოლიკურ გეტოებში შეიარაღებული რაზმების „მოქმედების“ გამალებულ მომზადებას შეუდგნენ.

მათი რიცხვი, იუწყება დღეს გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“, უკვე აღემატება 10 ათას კაცს. ულტრებს თავიანთ არსენალში აქვთ ტყვიამფრქვევები, ავტომატები და სხვა თანამედროვე იარაღი.

როგორც „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი წერს, რომელიც დეტალურად გაეცნო ამ რაზმების საქმიანობას, მარტო ერთ დერის საგრაფოში მათ შექმნეს 6 სამხედრო-სასწავლო პუნქტი.

ლონდონის პირდაპირი მართვა-გამგეობის პირობებში, წერს კორესპონდენტი, პროტესტანტ ექსტრემისტებს შემოაქვთ ავტომატები, ტყვიამფრქვევები, ბრანტების ახალი პარტიები. მოიკრიშეთა რაზმების შეიარაღებისა და სწავლების გარდა ისინი ადგენენ „არასასურველ“ ირლანდიელთა სიებს, კერძოდ, პოლიციისა და ოფიციალური პირების დახმარებით „ულტრებმა“ აღრიცხვაზე აიყვანეს ყველა ირლანდიელი, რომლებიც ლონგ კეშის საკონცენტრაციო ბანაკში დაპატიმრებულთა სანახავად დადიოდნენ.

ოფიციალური პირები, პოლიცია, „ოლსტერის თავდაცვის პოლიკი“ სამხედროები, — „აშკარად განუცხადა „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტს ექსტრემისტთა ერთ-ერთმა მეთაურმა, — ან პირდაპირ გვეხმარებიან, ან თვალს ხუჭავენ ჩვენს საქმიანობაზე“.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ ინფორმაციები მოწმობენ, რომ ლონდონიდან პირდაპირი მართვა-გამგეობის საფარით ოლსტერში ამზადებენ ახალ შეთქმულებას.

თორმეტი წლის წინათ შეიქმნა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი, რომელიც ხელმძღვანელობს ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლას. ფრონტის დროშის ქვეშ სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძვის დღეს ათეულ ათასობით პატრიოტი.

სურათზე: განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ახალგაზრდა მეტყვეიამფრქვევე ნგუენ ვან ბიენი.

ფოტო ᲨᲘᲐ-ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡᲐ.

ᲙᲓᲘᲡ-ᲙᲐᲒᲔᲑᲘ

ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲘᲤᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ

28 აპრილი. (საკდესი). დღეს ეთიოპიის დედაქალაქში მუშობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკოლონიზაციის კომიტეტის გასვლითმა სესიამ, რომელზეც მიიღეს დიდმნიშვნელოვანი რეზოლუციები. ეს რეზოლუციები ითვალისწინებენ კონტინენტის განთავისუფლებას რასისტულ-კოლონიური რეჟიმებისაგან.

საბოლოო სხდომაზე გამოსვლისას სსრ კავშირის წარმომადგენელმა კომიტეტში ი. გ. ნეკლესამ ხაზგასმით აღნიშნა სესიის მუშაობის წარმატება. კომიტეტის აფრიკაში ჩამოსვლამ, აღნიშნა მან, ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი საქმიანობის აქტივიზაციას დეკოლონიზაციის საქმეში.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ბრატისლავა, 29 აპრილი. (საკდესი). დიდი შრომითი გამარჯვებებით ეგებებიან სლოვაკიელი მშრომელები 1 მაისს — საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღეს. ყველა ფაბრიკასა და ქარხანაში, ახალ მშენებლობებზე აკამებენ პირველი მაისისა და საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 27 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრების შედეგებს.

ჰავანა. 29 აპრილი. (საკდესი). „მშრომელთათვის იმაზე მეტი კმაყოფილება არა არის რა, ვიდრე მთელი თავიანთი ძალღონე მოახმაროონ სოციალიზმის შენებლობას, უფრო მეტი სიხარული არა არის რა, ვიდრე პირველ მაისს უპატაკონ სამშობლოს საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულება, უფრო მეტი პატივი — ვიდრე ქვეყნის წინაშე შესრულებული მოვალეობის შეგნება“, — განაცხადა კუბის ჟურნალ „ბოემიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში კუბის მშრომელთა პროფესიერების გენერალურმა მდივანმა იქტორ რამოს ლატურმა.

კუბის პროფკავშირული მოძრაობა, თქვა მან, კიდევ უფრო განმტკიცებული და სპრძოლო სულისკვეთებით აღსავსე ეგებება პირველ მაისს და შესანიშნავად აქვს შეგნებული თავისი როლი და ამოცანები ეროვნული ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში. კუბაში ძირითადად დამთავრდა დარგობრივი პროფკავშირების შექმნა, განხორციელდა დიდი მუშაობა პირველადი ორგანიზაციების განსამტკიცებლად. საწარმოო კოლექტივის საუკეთესო წარმომადგენლები არჩეული არიან პროფკავშირთა ხელმძღვანელ ორგანოებში.

ბუენოს-აირესი. 29 აპრილი. (საკდესი). პირველ მაისს არგენტინა ეგებება კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ვითარებაში, ნათქვამია არგენტინის კომუნისტური პარტიის განცხადებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა. კომპარტია მშრომელებს მოუწოდებს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე აღნიშნონ დეჰოკრატიული თავისუფლებისათვის, სიძვირის ზრდის წინააღმდეგ, ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერებით.

არგენტინელი კომუნისტები მტკიცე პრინციპს გამოთქვამენ ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში დიქტატორული რეჟიმების მიერ პროგრესული ძალების დევნის წინააღმდეგ და სოლიდარობას უცხადებენ ინდოჩინეთისა და სხვა ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

არგენტინის კომპარტიის განცხადებაში საგანგებოდ არის აღნიშნული შესანიშნავი მეგობრული საბჭოთა კავშირისა, რომელიც ახორციელებს მშვიდობის თანმიმდევრულ ლენინურ პოლიტიკას. არგენტინელი კომუნისტები საბჭოთა ხალხს, რომელიც წელს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს აღნიშნავს, უსურვებენ ახალ წარმატებებს კომუნიზმის შენებლობაში.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ

ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲡ ᲛᲘᲗᲘ

29 აპრილი. (საკდესი). 100-200 უდიდესი სამრეწველო კორპორაცია, რომლებმაც თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს წლითიწლობით მზარდი კოლოსალური სიმდიდრენი, — ეი ვინ არის დღევანდელი ამერიკის ნამდვილი ბაგონ-პატრონი.

ასეთი დასკვნა გამოაქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს-ეს არის გამოსული წიგნის „პოპულისტთა მანიფესტის“ ავტორებს ჯეკ ნიუფილდსა და ჯეფ გრინფილდს. ეს მონოპოლიები, ნათქვამია წიგნში, ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო კომპანიათა მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენენ, მაგრამ 86 პროცენტს ფლობენ და ყველა სამრეწველო კომპანიის მოგებათა თითქმის 90 პროცენტს იღებენ.

წიგნის ავტორები მაგალითებით ცხადყოფენ, თუ როგორ ძარცვავენ მონოპოლიები ამერიკელ ხალხს. მარტო მთავრობის მიერ ნავთობის იმპორტზე შემოღებული შეზღუდვების შედეგად, რომელებმაც საშუალება მისცეს ამერიკის ნავთობის ტრესტებს გაეფიდნებინათ ბენზინისა და ნავთობპროდუქტების ფასები, ამერიკელი მომხმარებლები იძულებული არიან დამატებით უსაფრთ მონოპოლიებს 5-დან 7 მილიარდამდე დოლარი წელიწადში.

ავტორები ახასიათებენ კაპიტალის იმპერიას, მონოპოლიათა ყოვლისშემძლეობასა და ძლიერებას თანამედროვე ამერიკაში და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი წარმოადგენენ ნამდვილ „სახელმწიფოს სახელმწიფოში“. „კოლოსალური სიმდიდრეები საშუალებას აძლევენ მათ „დაამუშაონ“ კონგრესმენები და ფედერალური მოხელეები, ჩამოაყალიბონ საგადასახადო და სისხლის სამართლის კანონები და ეკონომიური პოლიტიკა“, — ნათქვამია წიგნში.

ნიუფილდი და გრინფილდი ამერიკის კაპიტალისტური სისტემის მოწინააღმდეგენი არ არიან. მაგრამ მათი წიგნი ამხილებს ამერიკის ოფიციალური პროპაგანდის მონაჩმახს იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოა“.

□

ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲘ ᲐᲡᲣᲐᲜᲨᲘ

კაირო. 29 აპრილი. (საკდესი). ძლიერი გრიგალი და წვიმა დაატყდა თავს ქალაქ ასუანს. გრიგალის შედეგად დაირღვა სატელეფონო კავშირი, დაწყდა ელექტროგადამცემი ხაზები, დაინგრა რამდენიმე სახლი.

ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲘᲗᲘᲠᲗᲔᲑᲘ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

პარიზი, 29 აპრილი (საკდესი). მუშათა კომისიების მოწოდებით ამ დღეებში მთელ ესპანეთში იმართება მშრომელთა მასობრივი დემონსტრაციები თავიანთი მოთხოვნების მხარდასაჭერად.

მრავალათასიანი დემონსტრაცია გაიმართა ბარსელონაში. დემონსტრანტებმა ჩაიარეს ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში, ერთხმად გაიძახოდნენ ლოზუნგს, რომლებიც ხალხს მოუწოდებდნენ ბრძოლისაკენ. დემონსტრაციის მონაწილეებმა გაავრცელეს ფურცლები, რომლებიც მოუწოდებენ საყოველთაო გაფიცვისათვის. მშრომელებს მხარი დაუჭირეს ბარსელონის უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

ქალაქ პასაჰესის-სან-სებასტიანის მუშათა გარეუბნის მშრომელებმა მოაწყვეს მასობრივი დემონსტრაცია, რომელშიც ფართო მონაწილეობა მიიღეს „ლუსურიაგის“ გემთსაშენების მუშებმა. მშრომელებთან სოლიდარობის ნიშნად ქალაქ სან-სებასტიანის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ჩაშალეს მეცადინეობა.

ფრანკისტული ხელისუფალნი სერიოზულად არიან შეშფოთებული მშრომელთა საგაფიცო მოძრაობის გაძლიერების გამო. ესპანეთის დედაქალაქის მთავარ მაგისტრალებს პატრულობენ პოლიციის გაძლიერებული რაზმები. მაღრიდის უნივერსიტეტში გაუქმდა ლექციები და შეწყდა მეცადინეობა 2 მაისამდე.

ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲔᲑᲘ

ვაშინგტონი, 29 აპრილი. (საკდესი). გაფიცვები კვლავ ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა ამერიკის მუშათა კლასის ბრძოლისა თავისი უფლებებისათვის, მონოპოლიების მიერ ჩაგვრის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წელს მარტო პირველ სამ თვეში შეერთებულ შტატებში მოეწყო 1.110 გაფიცვა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო თითქმის 400 ათასმა მუშამ.

გაფიცულები მეწარმეებისაგან მოითხოვდნენ ხელფასის მომატებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲠᲝᲑᲐ

დუბლინი. 29 აპრილი (საკდესი). ირლანდიაში უმუშევართა რიცხვმა 81.560-ს მიაღწია. ეს 21 ათასით მეტია, ვიდრე 1971 წლის აპრილში იყო და ქვეყნის თვითმოქმედი მოსახლეობის 9 პროცენტზე მეტს შეადგენს.

ირლანდიაში უმუშევრობის ზრდას უკავშირებენ იმას, რომ ქვეყნის ეკონომიკაზე ზემოქმედებას ახდენს ინგლის-ირლანდიის 1965 წლის ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ, რომელიც იწვევს საშინაო ბაზარზე ინგლისური საქონლის მოჭარბებას, კონკურენციის გამწვავებას და ბევრი ეროვნული საწარმოს დახურვას.

ᲙᲗᲐᲡᲜᲐᲘᲠᲘ ᲙᲛᲑᲔᲑᲘ

ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ... ᲒᲖᲐᲯᲕᲐᲠᲔᲓᲘᲜᲖᲔ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. თვითმფრინავმა ᲕᲬᲠᲔ შემოაკლო სახლების სახურავებს პოლონეთის დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე, შემდეგ გამორთული მოტორით დაეშვა მოკირწყლულ ქუჩაზე გზაჯვარედინის მახლობლად, სადაც არ იყო არც მანქანები, არც გამვლელები.

ასობით მცხოვრები ქუჩაში გამოცვივდა. ორადგილიან თვითმფრინავ „გავრონის“ პილოტმა, როცა ასეთი უჩვეულო დაჯოხომის შემდეგ გრძნობაზე მოვიდა, წაიბუტბუტა: „საწვავი გამითავდაო“.

„ᲝᲠᲑᲘᲢᲘᲡ“ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲗ

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ. მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდა ქალაქ დარჰანისა და ახლომდებარე დასახლებული პუნქტების მცხოვრებლები ამიერიდან ნახავენ „მონგოლეთის ცენტრალური და მოსკოვის ტელევიზიის გადაცემებს „ორბიტის“ სისტემით.

ქალაქში, რომელიც მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის სიდიდით მეორე ცენტრი გახდა, საეკსპლოატაციოდ გადასცეს საბჭოთა სპეციალისტების მონაწილეობით აშენებული სატელევიზიო სადგური.

ᲚᲝᲠᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ლორდმა ლესტერმა სიტყვა წარმოთქვა ინგლისის პარლამენტის ზედა პალატაში. თვითონ ამ ფაქტმა და არა სიტყვის შინაარსმა გამოიწვია საყოველთაო ინტერესი.

საქმე ის არის, რომ ლორდმა ლესტერმა დაარღვია ოჯახური ტრადიცია. მამამისს არასოდეს კრინტი არ დაუძრავს ლორდთა პალატაში, პაპამისი კი 32 წელს დუმდა. რეკორდი ეკუთვნის დღევანდელი ლორდის პაპის მამას: იგი 67 წელს იყო პალატის წევრი, მაგრამ არც ერთხელ არ წარმოუთქვამს სიტყვა. ხდებოდა რევოლუციები და ომები, ეპიდემიები და ხანძრები, რომლებიც ნახევარ ლონდონს ანადგურებდნენ. მთავრობა მთავრობას ცვლიდა. მაგრამ არც ერთ ლესტერს არ მიაჩნდა ეს მოვლენები იმდენად დიდმნიშვნელოვნად, რომ პირადი მონაწილეობა მიეღო მათ განხილვაში.

ოჯახურ ტრადიციებს მტკიცედ იცავდნენ წინა თაობებიც. ახლანდელმა ლორდმა ლესტერმა კი „მხოლოდ“ 22 წელს გასძლო. 1972 წლის აპრილში მან „პოზიციები დათმო“. როგორც ლესტერმა თქვა კამათის თემა იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ დუმილი აღარ შეიძლებოდაო. მან წარმოთქვა თავისი პირველი სიტყვა გარემოს გაჯანჯღაურების საკითხზე.

ლორდთა პალატაში ბევრი უცნაური ტრადიციაა შემორჩენილი. მაგალითად, შეიძლება წესად გაიხადო და არასოდეს არ დაესწრო სხდომას. პირობებიც უწყობენ ხელს ამ ჩვეულების შესრულებას: ლორდთა პალატის თათბირზე მეტი წევრიდან სმასამედი თუ დაეტევა სხდომებისათვის გამოყოფილ დარბაზში.

ზოგიერთ ლორდზე იმასაც კი ამბობენ, რომ ყოველგვარი რეკლამის გარეშე უკვე დიდი ხანია არ არღვევენ „ტრადიციას“ და შუადამ სძინავთ სხდომებზე, რა საკითხსაც უნდა განიხილავდნენ იქ.

ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ „ᲗᲣᲗᲘᲧᲣᲨᲘ“

ᲚᲣᲡᲐᲙᲐ. „ბიზნესი ბიზნესიაო!“ — გადაწყვიტა ვინმე დევიდ ბრიგსმა და ბეჯითად შეუდგა ამ ლოზუნგის შესრულებას. ჯერ მან გულდასმით შეისწავლა იმ საქონლის სია, რომელიც, ამა თუ იმ მიზეზით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დეფიციტურად ითვლებოდა. აღმოაჩინა, რომ მისი კომერციული ნიჭის გამოყენების საუკეთესო სფერო შეიძლებოდა ყოფილიყო ვაჭრობა... თუთიყუშებით.

ახლად გამომცხვარი ბიზნესმენის გზაზე ერთი დაბრკოლება იყო: ყველა თუთიყუშმა, რომლებიც კი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შემოსაყვანთ, ხანგრძლივი კარანტინი უნდა გაიაროს და ბაჟით იბეგრება. ეს ხელს არ აძლევდა ბრიგსს, რადგან არ აპირებდა მოგება ვინმესთვის გაეყო.

ოპერაცია „თუთიყუშში“ მუშაობებოდა გულდასმით და დიდი გაქანებით. მას 400-400 ცალი თუთიყუშო ყუთებში შეფუთული საბაღოსა და საკარანტინო ხელისუფალთაგან საიდუმლოდ გადაჰყავდა საზღვარზე. მაგრამ, მოლაყბე ფრინველს თავი რომ არ გაეცა, წინასწარ ვისკის გადაკვრეგინებდნენ ხოლმე.

თაღლითობამ მიზანს მიაღწია: ბრიგსმა ვგარიანი მოგება ნახა. საინტერესოა, რომ საბაჟოს პოლიციისა და სანიტარული კორდონის ოცამდე თანამშრომელს, რომლებიც უკანონოდ შემოყვანილ თუთიყუშებს ეძებდნენ ფსიტაკოზი (თუთიყუშის ავადმყოფობა) შეეყარა.

(საკდესი).

ᲑᲝᲜᲘ

ᲙᲐᲛᲐᲗᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲔᲡᲢᲐ�გᲨᲘ

29 აპრილი. (საკდესი). მთელი დღის განმავლობაში დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგში გრძელდებოდა კამათი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის გამო. ისევე როგორც წინა დღეებში, ამ კამათის უყურადღების ცენტრში იყო საგარეო პოლიტიკის პრობლემები.

კანცლერმა ვ. ბრანდტმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოალიციური პარტიების — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიაღწიონ მოსკოვსა და ვარშავაში დადებულ ხელშეკრულებათა რატიფიკაციას. კანცლერმა უარყო ოპოზიციის წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ გაჭიანურდეს ამ ხელშეკრულებათა ძალაში შესვლა.

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ოპოზიციის ლიდერმა ლ. ბარცელმა გაიმეორა მითხოვნენ გადაიღოს მოსკოვისა და ვარშავის ხელშეკრულებათა რატიფიკაცია.

ამავე დროს მისმა გამოსვლამ აშკარად ცხადყო, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირი, რომელმაც მარცხი განიცადა მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის საკითხში, ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუშალოს ბიუჯეტის განხილვის ნორმალურ მსვლელობას. მან წამოაყენა სხვადასხვა პოლიტიკური პირობა, რომლებიც მიზნად ისახავენ ვითარების გართულებას.

მაგალითად, ამ მიზნით, ოპოზიციურმა ლიდერებმა მოითხოვეს სახელმწიფო კენჭისყრა ბიუჯეტის ერთ-ერთი მუხლის გამო — ფედერალური კანცლერის უწყების ხარჯებზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის ამ ცალკეული მუხლის გამო გაიმართა კენჭისყრა. ბუნდესტაგის 247 დეპუტატმა მხარი დაუჭირა მუხლის პროექტს. რაღაცნმე დეპუტატი წინააღმდეგ გამოვიდა.

როგორც ამის შემდეგ განაცხადა ბუნდესტაგის თავმჯდომარემ ფონ ჰასელმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბიუჯეტის ეს მუხლი, რომელიც თვალისწინებს ფედერალური კანცლერის უწყების ხარჯებს, უარყოფილად ითვლება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგმა შეწყვიტა კამათი 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გამო. პარლამენტის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ბუნდესტაგის მორიგი სხდომა უნდა გაიმართოს მომდევნო კვირაში.

ამ საღამოს აქ უნდა გაიმართოს ბუნდესტაგში წარმოდგენილი ყველა პარტიის ხელმძღვანელი წარმომადგენლების მოლაპარაკება. ეს მოლაპარაკება ეწყობა კანცლერ ვ. ბრანდტის წინადადებით.

29 აპრილი. (საკდესი). კვიინდამდე გაგრძელდა ბუნდესტაგში წამოდგენილი პროლეტიკური პარტიების ხელმძღვანელ მოღვაწეთა თათბირი. თათბირის დამთავრების შემდეგ გფრ-ის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალერსმა განაცხადა, რომ თათბირი გაგრძელდება შემდეგ კვირაში.

ალერსმა გამოთქვა აზრი, რომ თათბირი „სრულიად უსარგებლო არ ყოფილ“. მან განაცხადა, რომ ეს იყო „კეთილგონიერ ადამიანთა კარგი საუბარი, რომლებმაც იცან, რომ პარლამენტში მეტად მძიმე სიტუაციაა“.

ოპოზიციის ლიდერმა ბარცელმა საუბარს „მეტად სერიოზული და უაღრესად საქმიანი უწოდა“. თათბირის ყურადღების ცენტრში, განაცხადა ბარცელმა, იყო საკითხები იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართება შემდგომი საქმეები პარლამენტში.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ

ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

29 აპრილი. (საკდესი). მეორე დღეს ეროვნულ ასამბლეაში ბიუჯეტის ფინანსური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აქ გამართულ პლენუმზე მიიღო გადაწყვეტილება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, თუ რა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის, როგორც მთელი კაცობრიობის პროგრესის პიონერის, შექმნასა და განვითარებას, რომელიც ახორციელებს სკკპ XXIV ყრილობის პროგრამას კომუნიზმის მშენებლობის შესახებ.

ᲓᲔᲚᲘ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲒᲕᲡᲣᲠᲡ

29 აპრილი. (საკდესი). „ჩვენ მშვიდობა გვსურს და გულწრფელად გვაქვს იმედი, რომ საუკეთესო ურთიერთობას დავამყარებთ პაკისტანთან“, — განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ დღეს დელში საზღვარგარეთელ კორესპონდენტთა ასოციაციაში გამოსვლისას.

ინდირა განდიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთის მთავრობა დაინტერესებულია ორი ქვეყნის ურთიერთობაში არსებული ყველა სადავო პრობლემა გადაიჭრას მშვიდობიანი, მეგობრული საშუალებებით.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ

ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲔᲑᲘ

ვაშინგტონი, 29 აპრილი. (საკდესი). გაფიცვები კვლავ ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა ამერიკის მუშათა კლასის ბრძოლისა თავისი უფლებებისათვის, მონოპოლიების მიერ ჩაგვრის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წელს მარტო პირველ სამ თვეში შეერთებულ შტატებში მოეწყო 1.110 გაფიცვა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო თითქმის 400 ათასმა მუშამ.

გაფიცულები მეწარმეებისაგან მოითხოვდნენ ხელფასის მომატებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲠᲝᲑᲐ

დუბლინი. 29 აპრილი (საკდესი). ირლანდიაში უმუშევართა რიცხვმა 81.560-ს მიაღწია. ეს 21 ათასით მეტია, ვიდრე 1971 წლის აპრილში იყო და ქვეყნის თვითმოქმედი მოსახლეობის 9 პროცენტზე მეტს შეადგენს.

ირლანდიაში უმუშევრობის ზრდას უკავშირებენ იმას, რომ ქვეყნის ეკონომიკაზე ზემოქმედებას ახდენს ინგლის-ირლანდიის 1965 წლის ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ, რომელიც იწვევს საშინაო ბაზარზე ინგლისური საქონლის მოჭარბებას, კონკურენციის გამწვავებას და ბევრი ეროვნული საწარმოს დახურვას.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

ᲚᲝᲠᲓᲘ ᲚᲔᲡᲢᲔᲠᲘ ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲡ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ

29 აპრილი. (საკდესი). ლორდმა ლესტერმა ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ ინგლისის პარლამენტის ზედა პალატაში. თვითონ ამ ფაქტმა და არა სიტყვის შინაარსმა გამოიწვია საყოველთაო ინტერესი.

საქმე ის არის, რომ ლორდმა ლესტერმა დაარღვია ოჯახური ტრადიცია. მამამისს არასოდეს კრინტი არ დაუძრავს ლორდთა პალატაში, პაპამისი კი 32 წელს დუმდა. რეკორდი ეკუ

საქართველოს ფეხ-ბურთში

მეგობრებთან გამოცდილებისათვის

საქართველოში ეჭვს დღეს იყო სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის კურსების მსმენელთა კუბის რესპუბლიკის რევოლუციური შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელ პოლიტიკურ მუშაკთა ჯგუფი კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის. შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილის, მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მაიორ ანტონიო პერეს ერეროს მეთაურობით.

კუბელი ამხანაგები გაეცნენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობას, საუბრები ჰქონდათ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის, კალინინის რაიკომებში, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტში, პარტიის მცხეთისა და გარდაბნის რაიონულ კომიტეტებში. საუბრების დროს სტუმრებმა შეიძინეს მდიდარი გამოცდილება თავიანთი პრაქტიკული საქმიანობისათვის. სტუმრებს უველგან დიდი გულთბილობით ხვდებოდნენ.

პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველმა მდივანმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. ბექაურმა კუბელ სტუმრებს გააცნო, კერძოდ, რაიონის პარტიული ორგანიზაციის სტრუქტურა, მისი როლი ხუთწლიანი გეგმით დასახული სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში, სსრ კავშირის ბეჭდის 50 წლისთავისათვის მზადებაში.

ანტონიო პერეს ერერომ მადლობა გადაიხადა გულითადი და გულთბილი მასპინძლობისათვის, ხაზგასმით აღნიშნა: მუდამ გვემახსოვრება საქართველოს სტუმართმოყვარე მიწა-წყალზე გატარებული დღეები. აქ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ურყევია კუბელი და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობა.

სტუმრებს ძმურად შეხვდნენ თბილისის ელმავალსამშენებლო და რუსთავის მეტალურგიულ ქარხნებში, სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. ისინი გაეცნენ აგრეთვე თბილისსა და მცხეთის ღირსშესანიშნაობებს.

29 აპრილს კუბელი ამხანაგები მოსკოვში გაემგზავრნენ. (საქინფორმი).

მედლეგი, დიპლომეგი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საქეეყნოდ ცნობილია ქართული სამარკო ღვინოები და კონიაკები. ამ ეროვნულ საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ ზესტაფონელ მეღვინეებს.

მაღალხარისხოვანი ღვინომასალების, საკონიაკე სპირტის წარმოების ტექნოლოგიის შემუშავებისა და პროდუქციის გამოშვებისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარმა კომიტეტმა სამტრესტის არგვეთის ღვინის ქარხანათა სამმართველოს კოლექტივი დაჯილდოვა გამოფენის მეორე ხარისხის დიპლომით.

გამოფენის ვერცხლის მედლით დაჯილდოებულია ქარხნის დირექტორი დ. ლეკვეა; ბრინჯაოს მედლებით — ქარხნის თავადარი მეღვინე ნ. ცქიტიშვილი, საკონიაკე საამქროს უფროსი ა. ბრეგვაძე, ოსტატი-მეღვინე ა. თელია.

გამოფენის დიპლომებით დაჯილდოებულია ქარხნის წამყვან სპეციალისტთა და მუშაკთა ჯგუფი. მათ შორის არიან ქ. გაჩეჩილაძე, ს. ანთაძე, ვ. კოეშორიძე, ო. თუთარაშვილი, მ. კობახიძე, პ. რობაქიძე, უ. დეკანოსიძე, ბ. კაკაურიძე.

დაჯილდოებულთ საზეიმოდ გადაეცათ მედლები და დიპლომები.

ახალი ვარკვი

ცაგერი. (საკ. კორ.). მთის პატარა მდინარე ქვიშარმა, რომელმაც წვიმიან ამინდში საშინელი ადიდება იცის, რაიონული ცენტრის დასავლეთით დიდი ადგილები დაისაკუთრა და ქვა-ქვიშით აავსო. რამდენიმე ჰექტარი მიწა სრულიად უვარგისი გახდა.

ქალაქის მშრომელებმა კარგი ინიციატივა გამოიჩინეს. მდინარე საიმედო კალაპოტში მოამწყვდიეს, ხოლო მის ორივე სანაპიროზე უვარგისი ნიადაგი მიწით მოზვინეს და 1,2 ჰექტარზე მეგობრობის პარკი გაშენეს. ამ დღეებში აქ უკვე დარგეს 1.000 ძირზე მეტი კედარი, ნაძვი, ფიჭვი, ცაცხვი, ჭადი, ტუია და აკაცია.

ხრიოკი მიდამო ცაგერელთა დასვენების კერად გადაიქცა. პარკის ცენტრში მაღე შინმოუსულელთა ობელისკი აღიმართება.

გავშვეგისათვის

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის ბამბუკის საავეჯო ფაბრიკის კოლექტივმა საგრძნობლად გაადიდა პროდუქციის წარმოება და გაიფართოოა ასორტიმენტი. კვლავ დიდი მოთხოვნილებაა აქაურ ბამბუკის ნაკეთობაზე, ხოლო ბამბუკის სუფთნირებს სიამოვნებით იძენენ ტურისტები და დამსვენებლები.

საწარმოში წელს მრავალი სიახლე დაინერგა. ახლახან დაიწყეს ახალი პროდუქციის — ბავშვის ავეჯის კომპლექტის გამოშვება.

კაფე „მერანი"

რუსთავი. (საკ. კორ.). მტკვრის მარჯვენა ნაპირის დასახლებაში ნახევარი კილომეტრის ხაზზე გაჭიმეს ეგრეთ წოდებული „ომმსახურების კომპლექსი". აქ დღემდე მოქმედ საყოფაცხოვრებო ომმსახურების კომბინატსა და სასურსათო უნივერსალურ მაღაზიას მხარში ამოუდგა კაფე „მერანი".

კაფე „მერანი", რომელსაც თავისი სასაუზმე და საკოკტეილე აქვს, რუსთაველმა მშრომელებმა საპირველმაისო სიხარულად მიიღეს.

უახლოეს ხანში ომმსახურების კომპლექსს შეემატება ქორწინების სახლი და ხილბოსტნეულის მაღაზია.

ასპარეზი და სანახაობა

საქართველოს ფილარმონიის საკონცერტო პროგრამა „რუსთაველის ნაკვალევზე"

ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი თანამედროვე ელფერს აშკარად რომ შემატებდა თბილისს, ამაში მგონი არავის ეპარებოდა ეჭვი. ცხადი იყო ისიც, რომ დედაქალაქის გარეგნული იერის დამამშვენებელ ამ სარინო მოვლენას მოაყვებოდა ქალაქის კულტურული ცხოვრების ახალი გამლა-განვითარება. მაგრამ ნათლად და გამოკვეთილად წარმოდგენა იმისა, თუ დედაქალაქის ყველაზე დიდ სცენაზე ამოქმედებული გრძნობათა ენერგია რა ახალ თავისებურებას შეიძენდა, ძნელი გამოსაცნობი იყო.

ფილარმონიის დიდ სცენაზე ახლახანხანჯენები ლიტერატურულ-მუსიკალური პროგრამა „რუსთაველის ნაკვალევზე" ამ კითხვის სარწმუნო და დამაჯერებელ პასუხად გვესახება.

საესებით გასაგებია ის ღრმა კმაყოფილების გრძნობა, რომლითაც შეხვდა ჩვენი მაყურებელი ამ დიდებულ დარბაზში გამართულ და ეროვნული დიდებისადმი მიძღვნილ საღამო-კონცერტს.

პოეზიის, მუსიკის, პლასტიკის, შუქმუნრის, კინოს და ქორეოგრაფიის ენით გამოხატული და ასეთი სიკენარი მასშტაბით პირველად განხორციელებული ქებათაქება რუსთაველისა ცნობისმოყვარეობის გამაღვიძებელ მოლოდინს იწვევდა. ფრიად გვენიშნა სმენად ქცეული მაყურებელთა ერთიანად განბაღის ის ფუთი, როცა ამწევმა მექანიზმმა საორკესტრო ორმოდან მძიმედ ამოაცურა მთელი ორკესტრი და მოლოდინით დაძაბული ატმოსფერო ზ. ხუროძემ სადირიჟორო ჯოხის აქნევით განმუხტა. ახმიანდა ა. ჩიმბაკაძის კეთილშეეერი სიმფონიური პოემა და მოკრძალებისა და პატივის შესაბამის განწყობილებას გვაზიარა.

ყველაზერი, რასაც ისმენდა თუ ხედავდა მაყურებელი, შეესატყვისებოდა საღამოს საწყის კამერტონს. განათება სცენისა, მისი სივრცობრივი გადაწყვეტა, შემსრულებელთა განლაგება ერთნაირად გვიხატავდა რუსთაველის გენიალურ ეროვნულ მოკრძალებულ გრძნობას.

მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი ხასიათის საღამოს დაამშვენებდა ნიკო სულხანიშვილის ქორალი და ასეც მოხდა. თანაც გურამ ბაქრაძის ლოტბარობამ ჩვენის აზრით დიდად შეუწყო ხელი სულხანიშვილის მიერ ღრმად მიკვლეული ქართული მუსიკის ესთეტიკური ფენომენის მკაფიოდ გამოვლინებას.

გ. საღარაძის მიერ ოტტატურად წაკითხული ანდერძი ავთანდილისა თითქოს გვიკარნახებდა ნაცნობი სტრიქონებისადმი გაზრდილი დამკვირვებლობის გამოჩენას...

წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ? ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ.

„სიყვარული აღგვამალლებს", ვით ეუვანნი, ამას ყოფენ, შენ არ ჯერ ხან, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შეეჯერენ!

განსოლეული როსტევანის მჭვრეტელობით ჰუმანიზმს ავთანდილი უპირისპირებს საკეთისათვის გადაუდებელი ქმედობის მოთხოვნილებას. სწორედ ამ დაპირისპირების უფრო ღრმა საფეხურს გვაცნობდა საღარაძისეული ინტონაციისა და ფრაზირების ხასიათი.

მთელი პირველი ბაგყოფილება შეფერილი იყო ა. ჩიმბაკაძის სიმფონიური პოემის ჭეშმარიტად ესოტიკური სიამოვნების მომნიჭებელი ფრაგმენტებით („ვეფხისტყაოსნის" პროლოგი, „ქალთა ცეკვა", „ვ ე დ რ ვა", „ომი", „ძლევა"). რეჟისორის მიერ მოხდენილად იყო ჩასმული ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი ნაწყვეტი (პროლოგი, თინათინისაკენ ავთანდილის გაგზავნა, სამთა თათბირი), ვოკალური ანსამბლის მიერ შესრულებული მ. ხატელიშვილის „ხორუმი" და საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დასახურებული ანსამბლის (მხატვრული ხელმძღვანელები ნ. რამიშვილი, ი. სუხიშვილი) მიერ წარმოდგენილი ქორეოგრაფიული სურათი — ქაჯეთის ციხის აღება, რომლის საფინალო მომენტი — მებრძოლთა ხელებზე გადებული საომარ ფარებისაგან წარმოქმნილ მაღალი პატივის ხიდზე ქაჯეთისაგან დახსნილი მშვენიერი ნესტანის გავლა, პლასტიკურად მეტყველ, დასამახსოვრებელ მიზანსცენას ქმნიდა.

მეორე განყოფილების შთაბეჭდილების მწვერვალად იქცა ი. აბაშიძის „ო, ენავ ჩემო" — დედნისეულ ინტერპრეტაციით წარმოდგენილი, და ოთხი ნაწილი ო. თაქთაქიშვილის ორატორიდან „რუსთაველის ნაკვალევზე" („შენ აქ ხარ", „პალესტინა, პალესტინა", „რუსთაველის ხმა", „თამარ", „ღღეს აღესრულა შოთა რუსთველი"), რომელიც შეასრულა სიმფონიურმა ორკესტრმა, სახელმწიფო კაპელამ და თენგიზ მუშკუდიანმა ავტორის დირიჟორობით.

ამჯერად იმის საშუალება არ არის, რომ ცალ-ცალკე შევჩერდეთ იმ წყლილზე, რომელიც შეიტანეს ამ დიდად მისასალმებელ საღამო-კონცერტის პროგრამაში რუსუპულიკის სახალხო არტისტებმა ტ. საყვარელიძემ, ედ. მაღალაშვილმა, ი. დოლაბერიძემ, ფ. სულაბერიძემ, დამსახურებულმა მსახიობებმა ზ. კვერნენჩხილაძემ და ბ. კობახიძემ, ნ. მკირვალიძემ, ს. იაშვილმა, მსახიობებმა ელ. ჭაბუკაძემ, გ. ხარაბაძემ, მ. თავაძემ, ზ. ქაენლაშვილმა.

პროგრამა „რუსთაველის ნაკვალევზე" არანაკლებ ღელვას ანიჭებდა მათ, ვისაც ევალებოდა ამ გრანდიოზული სცენის ძლევა და სრულყოფილად ათვისება. ამიტომაც გვინდა პროგრამის პრემიერა ასევე მივუღოცოთ სადადგმო ნაწილის გამგეს რუსპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ზ. ქვილიძის, დეკორაციის კონსტრუქტორს ლ. ვერნიცკის, მთავარ მხატვარ-გამნათებელს ა. ტარასეიჩს, მხატვარ-გამნათებლებს ა. წივწივაძეს, ლ. ელენტს, ხმის რეჟისორებს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ლ. ქიშმიშიევს, ნ. საყვარელიძეს, ნ. ოძელაშვილს, ტონმეისტერებს ლ. ჩხარტიშვილს, ს. ალთუნიანს, მ. კალანდაძეს, კინოსაპროექციო ჯგუფს — ვ. გრეკო